საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №88/ნ
2014 წლის 15 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, №114, 09/09/2010, სარეგისტრაციო კოდი – 430030000.22.022.015153) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წლის დაწყების თარიღად განისაზღვროს 10 სექტემბრის შემდგომი პირველი ორშაბათი, ხოლო დასრულების თარიღად - 10 ივნისის შემდგომი პირველი პარასკევი.“

2. **მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

3. **მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პირველი და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის სასწავლო წელი დასრულდეს 20 მაისს. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, სასწავლო წელი დასრულდეს 20 მაისამდე ბოლო სამუშაო დღეს.“.

4. **მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ზამთრის არდადეგები დაიწყოს 30 დეკემბერიდან და გაგრძელდეს 14 იანვრის ჩათვლით.“.

5. **მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შეიძლება განისაზღვროს ამ ბრძანების პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილისაგან განსხვავებული სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების თარიღები შემდეგ შემთხვევებში:

ა) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პილოტირების განხორციელებისას;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას (სტიქიური მოვლენები, მასობრივი არეულობები, ეპიდემიურად არაკეთილსაიმედო პერიოდი და სხვა), აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას;

გ) აუცილებელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობისას.“.

6. **6^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6^1. ამ ბრძანების პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი ვადები არ ვრცელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **თამარ სანიკიძე**